19 აგვისტო, 2020

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს გაიმართება. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო გარემოს ანალიზი, რომელიც საქართველოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლებთან 28 ივლისიდან 4 აგვისტომდე გამართულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს ეყრდნობა. ანგარიში ასევე ითვალისწინებს ინსტიტუტის მიერ საქართველოში საქმიანობის 25 წლის მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია; კამპანიის გარემო; მედიის როლი და დეზინფორმაცია; გენდერი და ნაკლებადწარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა; ასევე, კოვიდ-19-ის ზეგავლენა. ინსტიტუტს წინასაარჩევნო პერიოდში ეყოლება გრძელვადიანი ანალიტიკოსები, რომლებიც ამ ანგარიშში წარმოჩენილ ძირითად თემებს მთელი საარჩევნო პროცესის მანძილზე სიღრმისეულად შეისწავლიან. ამას გარდა, შესაძლოა, NDI-მ წინასაარჩევნო პერიოდში დამატებითი ანალიზი და რეკომენდაციები გამოაქვეყნოს. არჩევნების შემდეგ NDI საარჩევნო პროცესების შემაჯამებელ ანგარიშს გამოაქვეყნებს.

პოლიტიკური კონტექსტი

2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გლობალური პანდემიისა და საარჩევნო სისტემაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე ახლოვდება. ახალი კორონავირუსი არა მარტო კამპანიის სტრატეგიებზე და საარჩევნო უბნების პროტოკოლებზე, არამედ, სავარაუდოდ, ამომრჩევლის ქცევაზეც იქონიებს გავლენას. ტრადიციულად, საქართველოს საპარლამენტო ცხოვრება ერთი პარტიის დომინირებითა და პოლარიზაციით ხასიათდება. 2020 წლის ივლისში მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა და საკანონმდებლო რეფორმებმა ახალი პარტიებისა და კოალიციების ჩამოყალიბების შესაძლებლობა გააჩინა. ეს, დიდი ალბათობით, საკანონმდებლო

ორგანოში მრავალფეროვანი გარემოს ჩამოყალიბებას წაახალისებს და კოალიციური მთავრობის შექმნის საჭიროებასაც დააყენებს დღის წესრიგში. მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული კამპანიებისა და პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით, პოლიტიკურ ლიდერებს უფრო ეფექტიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის შანსი აქვთ.

დამოუკიდებლობის თითქმის 30 წლის მანძილზე საქართველომ დაადასტურა, რომ სანდო არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები გააჩნია. შესაბამისად, მოქალაქეებს მაღალი მოლოდინები აქვთ, რომ საარჩევნო პროცესები დემოკრატიულ გარემოში წარიმართება. თუმცა, არჩევნების სანდოობასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ გამოწვევად რჩება, რაც პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობას აკნინებს. ეს, თავის მხრივ, საქართველოს გარე ჩარევების მიმართ კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის. ამგვარ კოროზიულ პროცესს მხოლოდ წინასაარჩევნოდ მიღწეული პროგრესი თუ შეაჩერებს. დემოკრატიის გაძლიერება ქართველ ლიდერებს მოქალაქეების მოლოდინების გამართლებაში, ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარებაში დაეხმარება.

საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია

მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში, საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების და საარჩევნო კოდექსის რეფორმის ფართომასშტაბიანი პაკეტი დაამტკიცა. კომპრომისის მიღწევას წინ ხანგრძლივი კამათი უძღოდა, თუმცა საბოლოოდ პროცესი ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით წარიმართა. აღნიშნულ ცვლილებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 2024 წლისთვის სრულად პროპორციულ სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლაა. ამ გეგმის თანახმად, 2020 წელს პარლამენტის 120 წევრი პროპორციული საარჩევნო სისტემით აირჩევა, 30 წევრი კი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მოიპოვებს მანდატს, ამჟამინდელი 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების ნაცვლად. ამას გარდა, 2020 წელს პარლამენტში მანდატების მოპოვებისთვის დაწესებული ზღვარი 5-დან 1 პროცენტამდე მცირდება; პარტიისთვის ხმების სულ მცირე 40.6 პროცენტის მოპოვება იქნება საჭირო იმისთვის, რომ საკუთარი მთავრობა შექმნას. ცვლილებები, ასევე, პარტიულ სიებში ყოველ ოთხ კანდიდატში ერთი ქალის წარმოდგენის ვალდებულებას აჩენს.

ხელისუფლების, ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული რეფორმები უფრო მრავალფეროვანი და პოლიტიკურად დაბალანსებული საკანონმდებლო ორგანოს შექმნას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება რეფორმების შედეგად ერთპარტიული დომინირების შემცირების შესაძლებლობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

საკანონმდებლო პაკეტი სხვა რიგ ცვლილებებსაც მოიცავს, მათ შორის: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვა პარტიული მიზნებისთვის, საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ უფრო ცხადი კრიტერიუმების დადგენა; პარტიის დაფინანსების ახალი ფორმულის დაწესება, რათა სახელმწიფო დაფინანსება უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს; უკანონო დაფინანსებისთვის სანქციების შემოღება; მედიაში ფასიანი რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით მოთხოვნების გამკაცრება და უფასო სარეკლამო დროზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობა; საარჩევნო დავების განხილვისთვის დაწესებული ვადების შემცირება; ასევე ახალი შეზღუდვები კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებთან კამპანიის გამართვასთან დაკავშირებით. NDI-ს შეფასებაში მონაწილე პოლიტიკური სპექტრის ყველა წარმომადგენელმა ახალი საკანონმდებლო ჩარჩო დადებითად შეაფასა, რაც მისასალმებელი მიღწევაა.

თუმცა, გარკვეული საკითხები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ოპოზიციურმა პარტიების კრიტიკის საგანი გახდა. მათი თქმით, საარჩევნო კომისიების შემადგენლობა არაპროპორციულად არის დაკომპლექტებული მმართველი პარტიის სასარგებლოდ; ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მიმართ დაწესებული აკრძალვები საკმარისი არ არის და მათი აღსრულება არასათანადოდ ხდება; საარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების მონაწილეობის აკრძალვა არ ვრცელდება სოციალურ მედიაში კამპანიის განხორციელებაზე; ამომრჩევლის დაშინება და მოსყიდვა, სავარაუდოდ, საარჩევნო კამპანიის ტაქტიკად დარჩება; ხოლო საარჩევნო დავების განხილვის პროცედურები არასათანადოა.

ოპოზიციური პარტიების მუდმივი შეშფოთების საგანი პოლიტიზირებული მართლმსაჯულებაა, რაც მათი თქმით, შერჩევით გამოძიებებში, პოლიტიკურად მოტივირებულ დევნაში, ოპოზიციის დაშინებასა და მათ მიმართ ძალადობის შემთხვევების დაუსჯელობაში ვლინდება. ამას გარდა, სამოქალაქო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები შეშფოთებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ მთავრობას საგანგებო სიტუაციის შემოღება პარლამენტის დამტკიცების გარეშე შეუძლია. ისინი შიშობენ, რომ ეს უფლებამოსილება, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერად იქნას გამოყენებული. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ბუნდოვანი წესები და მომავალ კვირებში ვირუსის ხელახლა გავრცელების საშიშროება საარჩევნო კამპანიის პროცესზე და ამომრჩეველთა აქტივობაზე უარყოფითად იმოქმედებს. მხარეები ზოგადად თანხმდებოდნენ, რომ არსებული კანონების კეთილსინდისიერი აღსრულება ისეთივე მნიშვნელოვანი იქნებოდა, როგორც ნებისმიერი დამატებითი მარეგულირებელი ან საკანონმდებლო რეფორმა.

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, მოქალაქეებმა 2017 წლის ადგილობრივი და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა დადებითად შეაფასეს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ცესკომ ახალ საარჩევნო სისტემასთან შესაბამისობის მიზნით პროცედურებში ცვლილებები შეიტანა და კომისიის წევრების გადამზადების, ამომრჩეველთა ინფორმირებისა და კიბერუსაფრთხოების დაცვის მიზნით ამბიციური გეგმები შეიმუშავა. ცესკოს ცნობით, მათ კოვიდ-19-თან დაკავშირებული რისკების

შემცირების დეტალური გეგმა გააჩნიათ, რათა არჩევნების დღეს ამომრჩევლების, კომისიის წევრებისა და საარჩევნო უბანზე მყოფი სხვა პირების უსაფრთხოება დაცული იყოს. ცესკოს განცხადებით, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ არჩევნებში მონაწილე მხარეებმა თავი შეიკავონ ამომრჩევლების მოსყიდვისგან, დაშინებისა და სიძულვილის ენის გამოყენებისგან. „სიძულვილის ენა“ აქ განიმარტება როგორც შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი გამოხატვის ფორმა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფისაკენ, როგორიცაა გენდერული იდენტობა, ეთნიკური წარმოშობა, სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, ასაკი, ან ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობა. სიძულვილის ენა მხოლოდ კრიტიკული ან უარყოფითი გზავნილების გავრცელებას არ გულისხმობს.

ბოლო არჩევნების დროს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (IACFF) ოპოზიციურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში ნდობით არ სარგებლობდა. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის დასამტკიცებლად ამ უწყებას კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმა დასჭირდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც მათი მანდატი დავიწროვდა, კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის ფუნქცია კი გაძლიერდა. თუმცა, ოპოზიციური პარტიები სკეპტიკურად უყურებენ ამ საკითხს და შიშობენ, რომ მათ კვლავ არათანაბარი წვდომა ექნებათ სესხებსა და შემოწირულობებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა NDI-ის განუცხადა, რომ დაუსჯელობის პრევენციას სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტური აღსრულება უზრუნველყოფს. დარღვევების მიმართ მყისიერი და მიუკერძოებელი რეაგირების უზრუნველსაყოფად სამინისტრო სამართალდამცავ ორგანოებში ტრენინგების ჩატარებას გეგმავს. საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე აღნიშნულ უწყებებს შორის კოორდინაცია მნიშვნელოვანი იქნება ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმართ ნდობის გასამყარებლად.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა NDI-თან შეხვედრაზე განაცხადეს, რომ ისინი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებენ და ამისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ცვლილებებსაც გაატარებენ. აღნიშნული განცხადება მისასალმებელია, თუმცა საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობის ასამაღლებლად ამას კონკრეტული ქმედებები უნდა მოჰყვეს.

წინა არჩევნებზე, გარკვეულმა საჯარო პირებმა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაცია სცადეს. სამოქალაქო საზოგადოების შეფასებით, ეს გამიზნული ტაქტიკა იყო, რათა ყურადღება საარჩევნო ხარვეზებიდან სხვა საკითხებზე გადაეტანათ. ისინი შიშობენ, რომ ეს პრაქტიკა მომავალ არჩევნებზეც გაგრძელდება. პანდემიის ფონზე, 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი უფრო რთული იქნება, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ აქტივობის საჭიროებას. აქედან გამომდინარე, მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, როგორებიცაა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა

იურისტთა ასოციაცია (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო (TI), საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო (PMMG) და მედიის განვითარების ფონდი (MDF), თავიანთი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა მიეცეთ.

რეკომენდაციები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და არჩევნებთან დაკავშირებული ვალდებულებების მქონე სხვა სამთავრობო უწყებებმა მაქსიმალურად დროულად და მიუკერძოებლად უნდა აღასრულონ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა კანონი და რეგულაცია.

მთავრობამ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, პოლიტიკურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ყველა ღონეს უნდა მიმართონ, რათა ახალი საარჩევნო კანონმდებლობის პირობებში ამომრჩევლების ინფორმირება უზრუნველყონ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა განმარტოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კვალიფიკაცია და შერჩევის პროცედურები, მათ შორის მიუკერძოებლობის სტანდარტები. პრიორიტეტი გამოცდილების მქონე კანდიდატებს უნდა მიენიჭოთ. ცესკომ მათი გადამზადება და ანგარიშვალდებულება უნდა უზრუნველყოს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დამატებითი განმარტებები უნდა გააკეთონ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება სახელმწიფო, საარჩევნო და საქველმოქმედო აქტივობების გამიჯვნა. ეს საჯარო მოხელეების მიერ სოციალური მედიის გამოყენების წესებსაც უნდა მოიცავდეს.

ხელისუფლებამ საჯარო მოხელეებს და საზოგადოებას მკაფიოდ უნდა განუმარტოს, რომ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას არ დაუშვებს. ამასთან, ამ რეგულაციის აღსრულების მკაცრი მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივი რეაგირება უნდა მოხდეს. ეს აუცილებელია დაუსჯელობის კულტურის თავიდან ასაცილებლად.

უწყებათაშორისმა კომისიამ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უნდა შექმნას კონსტრუქციული სამუშაო გარემო, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მიერ წამოჭრილი განსახილველი საკითხები დროულად, პროფესიონალურად და მიუკერძოებლად იქნება განხილული.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამომრჩევლებს და საარჩევნო სუბიექტებს არჩევნებთან დაკავშირებული დავების მოგვარებისთვის საკმარისი შესაძლებლობები გააჩნდეთ. მნიშვნელოვანია, რომ ლეგიტიმური დავები ტექნიკური ხარვეზების გამო განუხილველი არ დარჩეს.

ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რომ საკუთარი საქმიანობა არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად, ყოველგვარი ჩარევისა და დაშინების გარეშე წარმართონ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებით, მონიტორინგითა და მხარდაჭერით, მთავრობამ (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყებებმა) და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კოორდინაცია უნდა გაუწიონ სტრატეგიის შემუშავებასა და აღსრულებას, რათა დაცული იყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პრინციპები საარჩევნო კამპანიისას, ამომრჩეველთა სიის გადამოწმებისას, უშუალოდ კენჭისყრისას (იქნება ეს საარჩევნო უბნებზე, გადასატან საარჩევნო ყუთთან თუ საზღვარგარეთ ხმის მიცემისას), შედეგების დათვლისას და დავების განხილვების მთელი პერიოდის მანძილზე.

პარლამენტმა, მთავრობამ და სახელმწიფო უწყებებმა ფინანსური და სხვა ტიპის რესურსები უნდა გამოყონ საარჩევნო კონტექსტში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ზომა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არსებული რისკების პროპორციული იყოს და ყველა ჯგუფზე მიუკერძოებლად გავრცელდეს. ამასთან, ამან კამპანიის წარმართვის, ხმის მიცემისა და არჩევნებზე დაკვირვების პროცესში დაუსაბუთებელი შეზღუდვები არ უნდა შექმნას.

პარტიები და კამპანიის გარემო

დაბალი საარჩევნო ბარიერი და მეტად პოლარიზებული გარემო დაძაბულ საარჩევნო კამპანიას მოასწავებს. ახალ და შედარებით პატარა პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტში მოხვედრის და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შანსი აქვთ, თუ ისინი ხმების 1 პროცენტს მიიღებენ. 10 აგვისტოს მდგომარეობით, ოქტომბრის არჩევნებისთვის დასარეგისტრირებლად ცესკოს 68 პარტიამ მიმართა; 41 მათგანი უკვე დარეგისტრირდა, თუმცა ცესკო დამატებითი განცხადებების განხილვას განაგრძობს. ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, ფინანსურ რესურსებზე და მედიაზე არათანაბარი წვდომა გვაფიქრებინებს, რომ წინასაარჩევნო კამპანია მმართველი პარტიის ქართული ოცნებისა და სხვა რამდენიმე ოპოზიციური პარტიის დომინირების ფონზე ჩაივლის.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს პარტიების საკმაოდ დიდი არჩევანია, NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, მოქალაქეების უმეტესობა პოლიტიკას

კვლავაც ორპოლუსიანად აღიქვამს, სადაც ერთი მხარეს მმართველი პარტია ქართული ოცნებაა, მეორე მხარეს კი - ყოფილი მმართველ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. NDI-ის მიერ 2020 წლის თებერვალში გამართულ ფოკუს ჯგუფებზე გამოიკვეთა, რომ თბილისის გარეთ მცხოვრები ადამიანები შედარებით ახალი და მცირე ზომის პარტიების შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი. თუმცა, საპარლამენტო პარტიებით საზოგადოების უკმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი (2019 წლის დეკემბრის NDI-ის კვლევაში რესპონდენტთა მხოლოდ 26 პროცენტი მიიჩნევდა, რომ პარლამენტის წევრები მოქალაქეების ინტერესებს წარმოადგენდნენ; დაახლოებით 40 პროცენტი არც ერთ პარტიას ანიჭებდა უპირატესობას) სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ ახალ პარტიებს გადაუწყვეტელი ამომრჩევლების გულის მოგების რეალური შანსი აქვთ. 2020 წელს პარტიებს საარჩევნო ბლოკების ფორმირება შეეძლებათ, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია ისარგებლებენ თუ არა პარტიები ამ შესაძლებლობით. რამდენიმე პარტიამ აღნიშნა, რომ 1 პროცენტიანი ბარიერის გამო მათ საარჩევნო ბლოკების შექმნის სტიმული აღარ აქვთ.

საარჩევნო რეფორმის თაობაზე მიღწეული შეთანხმებისა და პოზიტიური კამპანიების წარმართვის დაპირების მიუხედავად, მმართველ პარტიასა და ოპოზიციის ჯგუფებს შორის მაინც ნდობის სერიოზული ნაკლებობაა. პარტიებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ სხვები, სავარაუდოდ, მაინც გამოიყენებენ ნეგატიურ კამპანიას, პირად თავდასხმებსა და შიშზე დაფუძნებულ გზავნილებს. ოპოზიციური პარტიები, ასევე, ეჭვობენ, რომ ხელისუფლებას რეფორმების სათანადოდ აღსრულების ნება არ გააჩნია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ამისთვის, შესაძლოა, მმართველი პარტიის ინტერესების წინააღმდეგ წასვლა გახდეს საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიები ჯერ ოფიციალურად არ დაწყებულა, პარტიებმა დარღვევების რამდენიმე დოკუმენტირებული ან კონკრეტული მაგალითი წარმოადგინეს.

რამდენიმე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ საარჩევნო პროცესებზე დაკვირვება უკვე დაიწყო. მაგალითად, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ თავის <u>პირველ ორ</u> შუალედურ ანგარიშში ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის 27 ფაქტი გამოავლინა. ეს სია მოქალაქეებისთვის წამლების, სურსათის ან სხვა პროდუქტების დარიგებაში მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობის ფაქტებს მოიცავდა. მიმდინარე ეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისის ფონზე, როცა გარკვეული ჯგუფები მართლაც საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, რთული ხდება იმის გამიჯვნა, თუ სად გადის ხაზი მთავრობის მხრიდან მოქალაქეების ლეგიტიმურ დახმარებასა და ამომრჩევლების მოსყიდვას შორის.

საქართველოში არჩევნები დიდწილად პიროვნებებზეა მიმართული, რასაც პირადი დაპირისპირებები და სკანდალები ამწვავებს ხოლმე. ქართულ პოლიტიკას ნაკლებად ახასიათებს საკითხებზე დაფუძნებული კამპანიები და დებატები, თუმცა პარტიები ზოგადად თანხმდებიან, რომ სამუშაო ადგილები, ინფლაცია და სიღარიბე მოქალაქეებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემებია. აღნიშნული თემები უკვე წლებია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში დომინირებს. NDI-თან შეხვედრების დროს პარტიებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ ეს საკითხები მათი წლევანდელი კამპანიების ძირითადი აქცენტი იქნება. თუმცა, ივლისის მდგომარეობით, კამპანიის პროგრამები ჯერ

არ ყოფილა ხელმისაწვდომი და პარტიების მიდგომებს შორის ნათელი განსხვავებების გამოკვეთა რთული იყო. სავარაუდოდ, ქართული ოცნება, რომელმაც იცის, რომ ჯანდაცვის კრიზისის მართვის გამო საზოგადოების კეთილგანწყობა მოიპოვა, ამ ფაქტორს თავისი უპირატესობის მოსაპოვებლად გამოიყენებს. შეასრულებენ თუ არა პარტიები საკუთარ დაპირებას, მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული კამპანიების ჩატარების შესახებ, სექტემბრის დასაწყისში გამოჩნდება, როცა საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება.

პარტიები მაჟორიტარი კანდიდატების დასახელებას და პარტიული სიების გამოქვეყნებას იწყებენ. სავარაუდოდ, ეს პროცესი სექტემბრის დასაწყისამდე გაგრძელდება. სწორედ ამ დროს უწევთ პარტიებს კანდიდატების საბოლოო სიების წარდგენა. მმართველმა პარტიამ 30 მაჟორიტარი კანდიდატის სია გამოაქვეყნა. გარკვეულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ევროპული საქართველოს, ლეიბორისტული პარტიის, თავისუფალი დემოკრატების და ახალი საქართველოს ჩათვლით, წარმატებით მოახერხეს თბილისის ექვს მაჟორიტარულ ოლქში ერთიანი კანდიდატების დაყენება. თუმცა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ რეგიონებში 22 მანდატის მოსაპოვებლად საკუთარი კანდიდატების დასახელება გადაწყვიტა. ამას გარდა, ევროპულმა საქართველომ რეგიონული მანდატების მოსაპოვებლად 14 კანდიდატისგან შემდგარი სია გამოაქვეყნა. წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროს, ოპოზიციური პარტიები ჯერ კიდევ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს დარჩენილი დიდი მუნიციპალიტეტების კანდიდატების შესახებ. ბევრმა პარტიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო ოლქების გაფართოებამ მაჟორიტარობის კანდიდატების შერჩევისა და კამპანიების პროცესზე გავლენა იქონია. კანდიდატებს ამომრჩევლების უფრო დიდ და მრავალფეროვან ჯგუფთან მოუწევთ მუშაობა, რაც შედარებით მცირე პარტიებისთვის გამოწვევა იქნება.

კოვიდ-19-ის ზეგავლენა კამპანიის გარემოზე ჯერაც არ არის ბოლომდე შეფასებული. შეხვედრებზე ბევრმა ისაუბრა დიდი საჯარო შეკრებების აკრძალვაზე. პარტიებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ თავიანთი ამომრჩევლების ძირითად ბაზას ვერ უკავშირდებიან და ვერც მიტინგების და საჯარო შეკრებების მეშვეობით ახერხებენ მხარდაჭერის მოპოვებას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კოვიდ-19-თან დაკავშირებული სიტუაცია შედარებით ექვემდებარება კონტროლს, პარტიები იმედოვნებენ, რომ ისინი მაინც შეძლებენ შედარებით მცირე ზომის პირისპირ შეხვედრების ორგანიზებას. პარტიები ზაფხულში ღია ცის ქვეშ შეკრებებს ამჯობინებენ; ზოგიერთი პარტია ჯერ კიდევ გეგმავს კარდაკარ ღონისძიებებს. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რამდენად აქტიურად გამოიყენებენ პარტიები ონლაინ სივრცეს. ისინი სოციალური ქსელების მნიშვნელობას აღიარებენ, თუმცა მათი უმეტესობისთვის ეს კომუნიკაციის მთავარი არხი არ იქნება. ზოგმა პარტიამ აღნიშნა, რომ დაწესებული შეზღუდვების გამო მედიაზე წვდომა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ზოგი პარტია გაზეთების და პუბლიკაციების დასარიგებლად თავიანთი აქტივისტების და მოხალისეების გამოყენებას გეგმავს.

რეკომენდაციები

პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა მოქალაქეების საჭიროებებზე და გადაჭრის გზებზე ორიენტირებული პოლიტიკური პროგრამები უნდა შეიმუშაონ. კამპანიის მონაწილეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის პარტიათაშორის თანამშრომლობას ან პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობას შეამცირებს.

ქართული ოცნების და მთავრობის ლიდერებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პარტიასა და მთავრობას შორის მკვეთრი ხაზი გაავლონ და კამპანიის მიზნებისთვის სახელმწიფო რესურსების გამოყენება აღკვეთონ.

პარტიებმა საჯარო დებატებში მონაწილეობის ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ.

ერთობლივად ან ინდივიდუალურად, პარტიებმა პირობა უნდა დადონ, რომ მოერიდებიან არაეთიკურ კამპანიებს, სიძულვილის ენას, დეზინფორმაციას, გაყალბებას, ამომრჩევლების მოსყიდვას, დაშინებასა და ძალადობას. მათ ანგარიშვალდებულების შიდა მექანიზმები და სანქციები უნდა დანერგონ.

პარტიებმა უარი უნდა თქვან იმგვარი კამპანიების წარმართვაზე, ან მისგან სარგებლის მიღებაზე, რომლის მიზანიც ამომრჩევლების შეცდომაში შეყვანა, დაბნევა ან არჩევნებში მონაწილეობაში ხელის შეშლაა.

პარტიებმა და კანდიდატებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მხარდამჭერები არ ჩაერევიან კონკურენტების კამპანიებში და არც ადგილობრივი ან საერთაშორისო დამკვირვებლების საქმიანობას შეუშლიან ხელს.

გენდერი და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა

ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას მოითხოვს, რათა ის დაცული იყოს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონების, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციისგან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გარკვეული პროგრესი უკვე სახეზეა, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების (როგორიცაა ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ლგბტქი თემის წევრები) საარჩევნო პროცესებში ჩართულობა კვლავ გამოწვევად რჩება.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის (ადვოკატირების ჯგუფი, რომელიც მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, აქტივისტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს) მრავალწლიანი ადვოკატირების შედეგად, საარჩევნო სიებზე გენდერული კვოტა დაწესდა, რაც ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. 2020 და 2024 წლებში, პარტია ვალდებული იქნება, პროპორციული სიის ყოველ ოთხეულში, სულ მცირე, ერთი ქალი დაასახელოს. შესაბამისად, საპარლამენტო მანდატების სულ მცირე 20 პროცენტი ქალებმა უნდა დაიკავონ. ამასთან, კანონმდებლობა ბიუჯეტიდან დამატებით 30 პროცენტიან დაფინანსებას ითვალისწინებს იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელთა სიაშიც მამაკაცების და ქალების თანაფარდობის კოეფიციენტი 1:3-ზე იქნება. მინიმალური კვოტები 2028 და 2032 წლებისთვის კიდევ გაიზრდება და სამეულში ერთი განსხვავებული სქესის ჩართვას მოითხოვს. კანონი 2021 წლიდან ადგილობრივი არჩევნებისთვის ქალების და მამაკაცების 1:2 პროპორციასაც ითვალისწინებს.

აღნიშნული რეფორმის მიმართ კმაყოფილება განსაკუთრებით სამოქალაქო ორგანიზაციებმა გამოხატეს. პარტიების უმეტესობაც მხარს უჭერს კვოტებს. ეს წესი ყველასთვის სავალდებულო იქნება, იმის მიუხედავად, უჭერენ თუ არა მას მხარს. რამდენიმე პარტიამ, შესაძლოა, დამატებითი ფინანსური შესაძლებლობებითაც ისარგებლოს, რაც მინიმალური მოთხოვნის გადაჭარბებით შესრულებას მოჰყვება.

სამწუხაროდ, პროპორციულ სიებში ქალი კანდიდატებისთვის გაწეული ამგვარი მხარდაჭერა ჯერჯერობით მაჟორიტარ კანდიდატებზე არ ვრცელდება. იმის მიუხედავად, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2020 წლის ივნისში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 60 პროცენტს მიაჩნია, რომ პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართულობა ქვეყანას სარგებელს მოუტანს, პარტიებმა NDI-ს განუცხადეს, რომ მაჟორიტარული მანდატების მოპოვების მიზნით, პრიორიტეტი კანდიდატის „გამარჯვების პოტენციალს“ უნდა მიანიჭონ, ვიდრე გენდერს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალები სარისკო კანდიდატებად განიხილებიან. ქართულმა ოცნებამ, რომელიც გენდერული კვოტების შესახებ კანონის მთავარი მხარდამჭერი იყო, მაჟორიტარობის კანდიდატთა 30 კაციან სიაში მხოლოდ ერთი ქალი შეიყვანა. ოპოზიციურ პარტიებში ამ

მხრივ უკეთესი მდგომარეობაა: ევროპულმა საქართველომ ამ ეტაპისთვის დასახელებულ 16 კანდიდატს შორის 4 ქალი დაასახელა. სხვა პარტიებს თავიანთი სიები ჯერ არ გაუსაჯაროებიათ, მაგრამ რამდენიმე ახალ პარტიას, როგორიცაა სამართლიანობისთვის და მოძრაობა ხალხისათვის, წინა ხაზზე უკვე ჰყავს ცნობილი ქალები, რომლებიც, სავარაუდოდ, მაჟორიტარებად იყრიან კენჭს.

თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, კანდიდატობა მაინცდამაინც ლიდერის როლში ყოფნას ან გავლენის ქონას არ ნიშნავს. ფრაზა „კვოტის ქალები“ დამამცირებელ ტერმინად გამოიყენება, იმაზე მისანიშნებლად, რომ ამ სისტემით არჩეულ ქალებს თავიანთი პოზიციები კვალიფიკაციით და დამსახურებით არ მოუპოვებიათ. ქალმა პოლიტიკოსებმა NDI-თან შეხვედრებზე აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად არიან ტროლების შეტევის, კიბერბულინგის, მიზოგინური შეურაცხყოფებისა და მუქარების სამიზნე. საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ ქალი პარლამენტარების მიმართ ძალადობის შესახებ ახლახან გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 85.2 პროცენტი ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. ამ ქალების 46.9 პროცენტმა განაცხადა, რომ დეპუტატობის პერიოდში მათ სიცოცხლის მოსპობით, გაუპატიურებითა და ცემით ემუქრებოდნენ.

სხვა ჯგუფები პოლიტიკურ ცხოვრებასა და არჩევნებში კიდევ უფრო ნაკლებად არიან ჩართული. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები კვლავ გამოწვევების წინაშე რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ღონისძიებები გატარდა, მაგალითად: უსინათლოებისთვის ხელმისაწვდომია საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმები, ხოლო ეტლით მოსარგებლეებს ხმის მისაცემად მათთვის ყველაზე მოსახერხებელ საარჩევნო უბანზე წინასწარ დარეგისტრირება შეუძლიათ. შშმ პირების უფლებათა დამცველი სამოქალაქო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ მათი წევრები თავს ქველმოქმედების ობიექტებად გრძნობენ და არა მოქალაქეებად, რომელთაც ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანა შეუძლიათ. ისინი იშვიათად ხედავენ შშმ თემის წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ხელმისაწვდომობის პრობლემა კვლავ აქტუალურია, რაც საარჩევნო პროცესებში მათ სრულ მონაწილეობას აბრკოლებს. მაგალითად, ბევრ საარჩევნო უბანზე, მაშინაც კი თუ იქ პანდუსებია განთავსებული, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მაინც რთულია შესვლა და მოძრაობა.

კორონავირუსის კრიზისმა მათ დამატებითი პრობლემები შეუქმნა. ცესკო ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ხმის მიცემის უსაფრთხოების გეგმაზე მუშაობს, სადაც შშმ პირებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ. მაგალითად, ამჟამინდელი მოთხოვნების თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთების გამოყენებისას აუცილებელია, რომ მთელი გუნდი ამომრჩევლის სახლში შევიდეს, სხვადასხვა პარტიული დამკვირვებლების თანხლებით, რაც ისედაც მოწყვლადი მოსახლეობისთვის სოციალური დისტანცირების წესს არღვევს. აუცილებელია, შეიქმნას ჯანდაცვის რისკების შემცირების გეგმა, რომელიც არა მხოლოდ ზოგადი მოსახლეობის, არამედ ასეთი მოწყვლადი ჯგუფის ინტერესებსაც გაითვალისწინებს.

როგორც NDI-თვის ცნობილი გახდა, პოლიტიკოსები ლგბტქი საკითხებთან დაკავშირებით ნელ-ნელა რიტორიკას ცვლიან. 2020 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, რამდენიმე პოლიტიკოსმა თანასწორობისა და ლგბტქი ადამიანების მხარდასაჭერად საჯარო განცხადება გაავრცელა. ამის მიუხედავად, ლგბტქი საკითხების დეზინფორმაციულ კამპანიებში და უთანხმოების გამოსაწვევად გამოყენება უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ამ თემის ადამიანების საარჩევნო კანდიდატებად დაყენება ან ღირსეულ ამომრჩევლად მიჩნევა. საზოგადოებაში ჯერ კიდევ ჭარბობს ჰომოფობიური ენა და შეხედულებები. NDI-ის გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტების 43 პროცენტს არ მიაჩნია, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია. ორგანიზაცია „თბილისი პრაიდი“ პარტიებთან ადვოკატირებას ეწევა, რათა პარტიათაშორისი მემორანდუმი გაფორმდეს და საარჩევნო პროგრამებში ლგბტქი საკითხებიც მოხვდეს.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13 პროცენტს შეადგენენ, ხშირად დამამცირებელი გამონათქვამების ობიექტები ხდებიან. ხშირია ანტიმუსლიმური და ქსენოფობიური რიტორიკა. ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობების კიდევ უფრო იზოლირებას და ქართული პოლიტიკისგან ჩამოშორებას უწყობს ხელს. 5 აგვისტოს მდგომარეობით, ქართულ ოცნებას და ევროპულ საქართველოს მარნეულსა და ახალქალაქში ეთნიკური უმცირესობის ორი წარმომადგენელი კანდიდატი ჰყავთ წარდგენილი. თუმცა, როგორც უმცირესობების უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული ნეგატიური სტიგმა ამ ადამიანებს წარმოაჩენს როგორც საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რომელთაც მეზობელ ქვეყნებთან უფრო ძლიერი კავშირები აქვთ, ვიდრე საქართველოსთან.

მიუხედავად იმისა, რომ ცესკო ეთნიკური უმცირესობების ენებზე რეგულარულად ბეჭდავს მასალებს და ამომრჩეველთა განათლებაზეც ზრუნავს, საქართველოს მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებსა და მედიას უმცირესობების ჯგუფების ამ კუთხით დასახმარებლად საკმარისი ძალისხმევა არ გაუწევიათ. მაგალითად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას ეთნიკური უმცირესობების ენებზეც თარგმნის, თუმცა, საბოლოო ჯამში, უმცირესობებს ამ ინფორმაციაზე მაინც არ მიუწვდებათ ხელი, რადგან უმცირესობათა რეგიონებში ინტერნეტზე წვდომა დაბალია. უმცირესობათა ენებზე მაუწყებლობა არც საზოგადოებრივი და არც კერძო მაუწყებლებისთვის არ წარმოადგენს პრიორიტეტს. შედეგად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ინფორმაციას ძირითადად კვლავაც არაქართული არხებიდან იღებენ, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ იზოლაციას.

რეკომენდაციები

პარტიებმა უნდა გააგრძელონ ქალი კანდიდატების მოზიდვა, ტრენინგი და მხარდაჭერა; ქალებისა და უმცირესობების მხარდასაჭერად უნდა განავითარონ პარტიის ინფრასტრუქტურა; ასევე, პარტიებმა ამ ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები თავიანთ პროგრამებში უნდა გაითვალისწინონ.

პარტიებმა კანდიდატთა შერჩევის უფრო დემოკრატიული შიდა პროცედურები უნდა შეიმუშაონ, რათა პარტიის წევრების უფრო მრავალფეროვანი წარმომადგენლობა უზრუნველყონ, მათ შორის რეგიონულ დონეზეც.

პარტიებმა ქალების წინაშე არსებული შიდაპარტიული ბარიერები უნდა გამოავლინონ. ქალი კანდიდატების მისაზიდად, პარტიებმა შიდა ქცევის წესებსა და პრაქტიკებსაც უნდა გადახედონ, როგორიცაა მაგალითად: სამუშაო საათები, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და კანდიდატის კამპანიის ფინანსური მხარდაჭერა.

პარტიებმა ინკლუზიური და მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული პროგრამები უნდა შეიმუშაონ, სადაც ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის (ქალები, ლგბტქი ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები) მნიშვნელოვანი თემებიც იქნება ასახული. პარტიებმა ისინი ასევე უნდა ჩართონ შიდა პროცესებში და წარადგინონ კანდიდატებად. პარტიებმა და კანდიდატებმა თანასწორობის იდეის მხარდამჭერი და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული განცხადებები უნდა აკეთონ.

კოვიდ-19-ის რისკების შემცირების სტრატეგიები ნაკლებად წარმოდგენილი და მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებულ საჭიროებებსაც უნდა ითვალისწინებდეს, შშმ პირების ჩათვლით.

ეთნიკურ უმცირესობებში საარჩევნო და პოლიტიკური ცნობიერების გაზრდის მიზნით, პოლიტიკურმა პარტიებმა და არჩეულმა თანამდებობის პირებმა საინფორმაციო შეხვედრები უნდა ჩაატარონ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

ეთნიკური უმცირესობების უკეთ ინფორმირების და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, უმცირესობების ენებზე მაუწყებლობისთვის დაფინანსება უნდა გამოიყოს.

მედიაგარემო და საინფორმაციო სივრცე

საქართველოში სიტყვის თავისუფლება უმეტესწილად დაცულია და მოქალაქეებს განსხვავებული მოსაზრებების მოსმენის შესაძლებლობა აქვთ. თუმცა, თუკი ტრადიციულ და სოციალურ მედიაში არსებული გამოწვევები გადაუჭრელი დარჩება, ქართველ ამომრჩევლებს, შესაძლოა, სანდო და სწორ ინფორმაციაზე წვდომა შეეზღუდოთ. სანდო ინფორმაცია კი საარჩევნო ყუთთან გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად და საარჩევნო პროცესის სამართლიანობაში დარწმუნებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

NDI-ს 2019 წლის დეკემბრის კვლევის თანახმად, ტელევიზია საქართველოს მოსახლეობის 69 პროცენტისთვის ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამავდროულად, მოქალაქეების აზრით, წამყვანი სატელევიზიო არხები პოლიტიკურად მიკერძოებულები არიან და გამიზნულად ავრცელებენ დეზინფორმაციას ხალხის შეცდომაში შესაყვანად. ამასთანავე, იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც მრავალპარტიული პერსპექტივის წარმოჩენას ცდილობენ, სირთულეს წარმოადგენს მთავრობის და მმართველი პარტიის ლიდერების თავიანთ გადაცემებში მიწვევა. ოპოზიციისადმი სიმპათიებით, ან მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიები სხვადასხვა სამართლებრივ პრობლემებს აწყდებიან, რაც მედიის თავისუფლებაში პოლიტიკურად მოტივირებული ჩარევის განცდას ქმნის. ამას გარდა, რეგიონულ მედიასაშუალებებს თავის გატანა ძალიან უჭირთ. მედიასაშუალებების განცხადებით, ეჭვს იწვევს 2020 წლის ივლისში კანონში შეტანილი ცვლილები, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (GNCC) უფლებამოსილებას ანიჭებს „სპეციალური მმართველები“ დანიშნოს სატელეკომუნიკაციო კომპანიებში, რომელთაც ბრალად ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის დარღვევა ედებათ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეს, შესაძლოა, სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისთვის იქნას გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზია საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების უმთავრეს წყაროდ რჩება, მოქალაქეთა მზარდი რაოდენობა ახალი ამბების გასაცნობად ინტერნეტწყაროებს, განსაკუთრებით კი ფეისბუქს იყენებს. NDI-ის 2019 წლის დეკემბრის კვლევის თანახმად, მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი მიმართავდა ინტერნეტს ახალი ამბების სანახავად, რაც 2015 წელს დაფიქსირებულ შვიდ პროცენტთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია. როგორც ჩანს, ამ ტენდენციის დაჩქარებას კოვიდ-19-ის შედეგად ციფრულ ურთიერთობებზე გადასვლამაც შეუწყო ხელი. თუმცა, სოციალური მედია სავსეა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო წყაროებიდან მომდინარე ცრუ ინფორმაციებით. მაგალითად, ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების, მათ შორის ISFED-ის, მიერ განხორციელებული ინოვაციური კვლევის შედეგად, ვებგვერდების, ფეისბუქ-გვერდების და იუთუბის ანგარიშების კოორდინირებული ქსელები გამოვლინდა, რომლებიც ცრუ ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოების აზრით მანიპულირებას და ინფორმაციული დაბნეულობის შექმნას ცდილობდნენ. ასეთ

გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის უმეტესობა ან მთავრობის მხარდამჭერ მესიჯებს შეიცავდა, ან ოპოზიციური პარტიებისა თუ საჯარო პირების კრიტიკაზე იყო მიმართული. ზოგი ამბავი ანტიამერიკული, ანტიდასავლური ან/და პრორუსული შინაარსის იყო, ზოგიც რუსული საინფორმაციო ვებგვერდებიდან მომდინარეობდა. ამის საპასუხოდ, 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე, ფეისბუქმა ათასზე მეტი „ყალბი" ანგარიში წაშალა. მათი უმრავლესობა ქართულ ოცნებასთან, ზოგიც - ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. NDI-ისთან საუბრის დროს, ზოგმა მხარემ ასევე აღნიშნა, რომ ეს ანგარიშები „კოორდინირებული არაავთენტური ქმედებების" (CIB) და სხვა ინფორმაციული მანიპულირების დიდი აისბერგის მხოლოდ წვერია. 50 ქართული სამოქალაქო ორგანიზაციის მიერ (მათ შორის: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI), მედიის განვითარების ფონდი (MDF) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) ივლისში გამოქვეყნებული ღია წერილის საპასუხოდ, ფეისბუქმა ანგარიშების ფლობასა და რეკლამის შესყიდვასთან დაკავშირებით უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გარკვეული ზომები მიიღო. აღნიშნული ნაბიჯები მისასალმებელია, თუმცა, არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად მაინც არასაკმარისია.

ქვეყნის გარეთ და საქართველოში წარმოებულ დეზინფორმაციას შორის ხაზის გავლება ყოველთვის არ არის მარტივი. ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული და განხეთქილების შემომტანი ნარატივები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო ზოგიერთი მედიასაშუალების და სტატიის წარმოშობის დადგენა რთულდება ხოლმე. ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებს ხშირად არ აქვთ საკუთარი მასალების მომზადების რესურსი, ამიტომაც ბევრი მათგანი ისეთ წყაროებს ეყრდნობა, როგორიცაა „სპუტნიკი" - რუსეთის სახელმწიფოს მიერ მართული პროპაგანდისტული მედიასაშუალება.

შეხვედრების მონაწილეების შეშფოთების საგანს საარჩევნო პროცესზე დეზინფორმაციული კამპანიებისა და სიძულვილის ენის ნეგატიური გავლენა წარმოადგენდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამან, შესაძლოა, ამომრჩევლები დააბნიოს და წინასაარჩევნო გარემოზე ბოროტი განზრახვის მქონე შიდა თუ საგარეო აქტორების გავლენა გააძლიეროს. „სიძულვილის ენა" აქ განიმარტება როგორც შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი გამოხატვის ფორმა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფისაკენ, როგორიცაა გენდერული იდენტობა, ეთნიკური წარმოშობა, სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, ასაკი, ან ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, სიძულვილის ენა მხოლოდ კრიტიკული ან უარყოფითი გზავნილების გავრცელებას არ გულისხმობს.

ადგილობრივი მიუკერძოებელი სამოქალაქო ორგანიზაცია მედიის განვითარების ფონდი (MDF) აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ქართული სამთავრობო პროგრამა, რომელიც წესით გარე საფრთხეებისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, ამის ნაცვლად რესურსებს ქართული, განსაკუთრებით კი ოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებული მედიასაშუალებების კრიტიკისთვის იყენებს. აღნიშნულ პროგრამებში შედის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) ონლაინ პლატფორმა, „მედიაკრიტიკა" (Media Critic) და ზოგიერთი სამინისტროს

სტრატეგიული კომუნიკაციების პროექტები, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ჩათვლით.

NDI-ის 2020 წლის ივნისის საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ კოვიდ-19-ის კრიზისის წარმატებულმა მართვამ ამ თემის ირგვლივ სამთავრობო კომუნიკაციის მიმართ საზოგადოების ნდობა საგრძნობლად აამაღლა. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პანდემიასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის განეიტრალებაში. ზუსტად ასევე მთავრობის ლიდერების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სხვა ჩართული მხარეების მიერ არჩევნების სანდოდ ჩატარებისთვის გაწეული ძალისხმევა, შესაძლოა ძლიერ საყრდენად იქცეს იმ დეზინფორმაციის წინააღმდეგ, რომელიც საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

რეკომენდაციები

მედიასაშუალებებს და ჟურნალისტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ საკუთარი ლეგიტიმური უფლებები მთავრობის ჩარევისა და შევიწროების გარეშე განახორციელონ. ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს მუქარისგან ან ისეთი ნაბიჯებისგან, რაც შესაძლოა მედიის საქმიანობაში პოლიტიკურად მოტივირებულ ჩარევად იქნას აღქმული. მათ შორის იგულისხმება: მედიასაშუალების მფლობელების მიმართ დევნა და სატელეკომუნიკაციო კომპანიებში „სპეციალური მმართველების“ დანიშვნა.

მედიასაშუალებებმა და ჟურნალისტებმა უნდა დაგმონ დეზინფორმაციის გავრცელება და ამომრჩეველთა უნებურად შეცდომაში შეყვანის თავიდან ასარიდებლად, სტატიის/სიუჟეტის გავრცელებამდე საგულდაგულოდ გადაამოწმონ ფაქტები და წყაროების სანდოობა.

საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს ადგილობრივ მედია საშუალებებს, რათა ამომრჩევლებს კანდიდატების შესახებ სიღრმისეულ ინფორმაციაზე ჰქონდეთ წვდომა; ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ ტრადიციული მედიისა და სოციალური მედიის მონიტორინგის განმახორციელებელი სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარება განაგრძონ.

ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით, ფეისბუქმა, იუთუბმა და სხვა ონლაინ პლატფორმებმა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან უნდა ითანამშრომლონ. ფეისბუქმა დროულად უნდა უპასუხოს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ საკითხებს, რაც კოორდინირებულ არაავთენტურ ქმედებებს უკავშირდება; ასევე აღკვეთოს მიკროტარგეტირება და გააუმჯობესოს ფაქტების გადამოწმების აღმნიშვნელი იარლიყების სისტემა.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, მთავრობამ და სხვადასხვა სააგენტოებმა, მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, პრიორიტეტი მოქალაქეების მედეგობისა და სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას უნდა მიანიჭონ და არა ზოგიერთი მედიასაშუალების, შედარებით უმნიშვნელო, მიკერძოებულობის შემთხვევებს.

NDI მადლობას უხდის აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელიც მხარს უჭერს ამ გამოცემას (Georgia Election Watch) და NDI-ის საარჩევნო ანალიზის სხვა მიმდინარე პროგრამებს.

NDI არის არაკომერციული, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერით მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მუშაობს. NDI-ს 65-ზე მეტ ქვეყანაში 250-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია და შეფასება აქვს განხორციელებული, მათ შორის არაერთი შეფასება საქართველოში 1992 წლიდან. NDI-ის და მისი პროგრამების შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებსაიტზე www.ndi.org.

ავტორები: *პრეზიდენტი დერეკ მიტჩელი; საქართველოს ოფისის დირექტორი ალან გილამი; საქართველოს ოფისის მოქმედი დირექტორი თეონა ყუფუნია; ევრაზიის პროგრამების დირექტორი ლორა ჯუიტი; საარჩევნო პროგრამების დირექტორი პატრიკ მერლო; და პროგრამების დირექტორი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მელისა მუსიო.*